პროექტი

საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს კანონის „იარაღის შესახებ“ (სსმ, 14, 03/06/2003, 40.120.000.05.001.001.275) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს ,,ო[1]'' ქვეპუნტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,, ო[1]) ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებს. ''

2. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,, 3. სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იარაღის ტარების უფლება უნარჩუნდებათ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების გამო.''

3. დაემატოს შემდეგი შინაარის 35[2] მუხლი :

,, **მუხლი 35[2]. სამსახურეობრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ იარაღის ტარების უფლება**

ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირებს, რომლებსაც სამსახურეობრივი-საშტატო იარაღის ტარების უფლება ჰქონდათ, მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, თუმცა, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ჩამოერთვათ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება, აღუდგეთ აღნიშნული უფლება ამ კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. ''

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი